ქალაქ თბილისის საკრებულოს
სატრანსპორტო საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი №1

07.12.2021 თბილისი, თავისუფლების მოედანი №2
13:00 საათი

<u>სხდომას ესწრებოდნენ:</u>

1. შალვა ოგბაიძე - კომისიის თავმჯდომარე;
2. გიორგი ახვლედიანი - კომისიის წევრი;
3. რევაზ სოხაძე - კომისიის წევრი;
4. ალექსანდრე ხუჯაძე - კომისიის წევრი;
5. გურამ ოქროპირიძე - კომისიის წევრი.

სხდომის დღის წესრიგი:

- ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის წევრების თანამდებობაზე დანიშვნის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებების პროექტები **(12-032134034-03, 06.12.2021).**

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

სხდომა საკრებულოს თერთმეტ კომისიასთან ერთად წარიმართა.

სხდომის დასაწყისში, თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ, ლევან ჟორჟოლიანმა სხდომაზე დამსწრე პირებს მიაწოდა ინფორმაცია გაერთიანებული სხდომის დღის წესრიგის შესახებ.

რის შემდეგაც, წარდგენილი იქნა ვიცე-მერობის, მერის მოადგილეების, საქალაქო სამსახურების უფროსებისა და რაიონული გამგებლების კანდიდატურები. კერძოდ:

1. თბილისის მერის პირველი მოადგილის (ვიცე-მერი) თანამდებობაზე - ირაკლი ხმალაძე;
2. თბილისის მერის მოადგილის თანამდებობაზე - ანდრია ბასილაია;
3. თბილისის მერის მოადგილის თანამდებობაზე - ირაკლი ბენდელიანი;
4. თბილისის მერის მოადგილის თანამდებობაზე - ილია ელოშვილი;
5. თბილისის მერიის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (ადმინისტრაციის უფროსის) პოზიციაზე - ვლადიმერ ჭიღლაძე;
6. თბილისის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობაზე - გიგა გიგაშვილი;

7. თბილისის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობაზე - ვახტანგ ლომჯარია;
8. თბილისის მერიის მუნიციპალური ინსპექციის ხელმძღვანელის (მუნიციპალური ინსპექციის უფროსი) თანამდებობაზე - კახაბერ გულედანი;
9. თბილისის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობაზე - გიორგი აბუთიძე;
10. თბილისის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობაზე - სერგო ბირკაძე;
11. თბილისის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობაზე - ირაკლი გვილავა;
12. თბილისის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობაზე - გაიოზ თალაკვაძე;
13. თბილისის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობაზე გიორგი პაპავა;
14. თბილისის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობაზე - გელა ჩივიაშვილი;
15. თბილისის მერიის უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობაზე - ნიკოლოზ ჭონქაძე;
16. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ჩუღურეთის რაიონის გამგებლის თანამდებობაზე - დავით უთმელიძე;
17. დიდუბის რაიონის გამგებლის თანამდებობაზე - ვლადიმერ ძნელაძე;
18. გლდანის რაიონის გამგებლის თანამდებობაზე - ლევან ნაროუშვილი;
19. ვაკის რაიონის გამგებლის თანამდებობაზე - დავით კვინიკაძე;
20. ისნის რაიონის გამგებლის თანამდებობაზე - ნიკა ელისაშვილი;
21. კრწანისის რაიონის გამგებლის თანამდებობაზე - ბექა მიქაუტაძე;
22. მთაწმინდის რაიონის გამგებლის თანამდებობაზე - დავით კირკიტაძე;
23. ნაძალადევის რაიონის გამგებლის თანამდებობაზე - ირაკლი ანდღულაძე;
24. საბურთალოს რაიონის გამგებლის თანამდებობაზე - გაიოზ ვასაძე;
25. სამგორის რაიონის გამგებლის თანამდებობაზე - კახა სამხარაძე.

სხდომა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა.

შ.ოგბაიძემ შეკითხვებით მიმართა თბილისის ვიცე-მერობის კანდიდატ ირაკლი ხმალაძეს. დაინტერესდა, რა გაგრძელება ექნება 2022-2024 წლებში დედაქალაქის სატრანსპორტო პოლიტიკას, მათ შორის, საზოგადოებრივი ტრანსპორტის ქსელის რეორგანიზაციის და ახალი სატრანსპორტო დერეფნების შექმნის მიმართულებით, მეტროსადგურ ,,გოცირიძის“ სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულების სავარაუდო დროით და რუსთაველი-მთაწმინდის დამაკავშირებელი საბაგირო გზის რეაბილიტაციის პროცესით.

ასევე, ისაუბრა პარკირებაზე. მისი განცხადებით, 2018 წლიდან „სითი პარკის“ ნაცვლად პარკირების ოპერატორის ფუნქცია თბილისის სატრანსპორტო კომპანიას გადაეცა, რის შემდეგაც, დედაქალაქში, პარკირების მოწესრიგების მიზნით არა ერთი მნიშვნელოვანი

ნაბიჯი გადაიდგა, მათ შორის, თბილისის ცალკეულ ქუჩებში დაინერგა ზონალურ-საათობრივი პარკირება. გარდა ზონალურ-საათობრივი პარკირებისა, კვლავაც მოქმედებს სატრანსპორტო საშუალებების პარკირებისთვის 1 კვირიანი, 6 თვიანი და 1 წლიანი პარკირების საშვები. საშვის შეძენა მარტივად არის შესაძლებელი, რის შემდეგაც, ვადის ამოწურვამდე, მის მფლობელს შესაძლებლობა აქვს, განახორციელოს მანქანის პარკირება დადგენილი წესის მიხედვით. თუმცა, საშვის მოქმედების ვადის ამოწურვის შესახებ, საშვის მფლობელებს შესაბამისი შეტყობინებები არ ეგზავნებათ, რის გამოც, ხდება მათი თუნდაც ერთი დღის გადაცილებისთვის დაჯარიმება 10 ლარის ოდენობით.

დასასრულს, დასძინა, რომ სისტემა იმდენად გამართულია, სირთულეს არ უნდა წარმოადგენდეს საშვის მფლობელებისთვის შეხსენების შეტყობინებების დაგზავნა და ამ გზით, სერვისის კიდევ უფრო გაუმჯობესება.

ი.ხმალაძემ მადლობა გადაიხადა საინტერესო შეკითხვებისთვის. მისი განცხადებით, 2018 წელს შემუშავდა და განისაზღვრა დედაქალაქის სატრანსპორტო პოლიტიკა შესაბამისი ღონისძიებებით, დედაქალაქის მთავრობა ამ მიმართულებას არ გადაუხვევს და გაგრძელდება ყველა იმ პროექტის განხორციელება, რომელსაც პოლიტიკის დოკუმენტი მოიცავს. 2022 წელს იგეგმება 200 ერთეული, 18 მეტრიანი ავტობუსის, ასევე, მეტროში ახალი ვაგონების შესყიდვა.

რაც შეეხება პარკირების საშვებს და ჯარიმებს, სამწუხაროდ, პარკირების საშვის შეძენისას არ ფიქსირდება გადამხდელი პირის საკონტაქტო ინფორმაცია, ამიტომაც შეუძლებელი ხდება გამაფრთხილებელი მოკლე ტექსტური შეტყობინების გაგზავნა პარკირების საშვზე ვადის გასვლის შესახებ. შესაძლებელია აპლიკაციის შემდგომ დახვეწაზე ერთობლივი მუშაობა.

შეკითხვები დასვეს ასევე, სხდომაზე დამსწრე საკრებულოს სხვა წევრებმა.

კომისიის სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და კითხვა-პასუხის მოსმენის შემდეგ, შ.ოგბაიძემ კენჭისყრაზე დააყენა შემდეგი საკითხი:

- მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული თბილისის საკრებულოში წარმოდგენილი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 6 დეკემბრის №12-03234034-03 წერილით წარმოდგენილი ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის წევრების თანამდებობაზე დანიშვნის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებების პროექტების (სულ: 25 პროექტი) საკრებულოს სხდომაზე გატანა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 5, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0), კომისიამ დაადგინა:

- ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის წევრების თანამდებობაზე დანიშვნის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებების პროექტები (12-032134034-03, 06.12.2021) განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

შალვა ოგბაიძე